# ბახტრიონი

ფასი 10.000 მ.

სტამბის მისამართი: სამხედრო სტამბა, ლორის-მელიქოვის ქ. № 3. ტელეფ. 8—61 განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 4 ორშაბათი 24 ივლისი. № 4



ხუთშაბათს, 18 ივლისს

გაიხსნა გაიხსნა

## ქიმერიონი

(ყოფ. ანონა) რუსთაველის თეატრის ქვეშ.

ყოველდღიურად **სიმფონიური სიმებიანი ორკესტრი სტუპელის** ხელმძღვანელობით; ორკესტრი უკრავს სადილობისა და ვახშმობის დროს.

**კონცერტები, წარმოდგენები, კაბარე**

და სხვა გასართობები.

ორი თავი სადილი—**40.000** მ. სამი—**50.000** მ.

**საუზმე და ვახშამი** ევროპიული და აზიური საჭმელები.


## განცხადება

### ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა

ა. წ. ივლისის ოციდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის **დავით ჩიქოვანის** თავმჯდომარეობით იწყება ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების რევიზია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერად იქნა აკრეფილი სხვა და სხვა გადასახადები ქალაქ ტფილისში. კომისიაში წევრებად შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი.

ამის გამო გთხოვთ ყველა მოქალაქეთ, რომელთაც გადასახადების აკრეფის დროს შეუმჩნევიათ რაიმე უკანონობა, სათანადო განცხადებით და გადახდილ გადასახადის კვიტანციით მიმართონ ხსენებულ კომისიას. განცხადებები უნდა ჩაბარდეს კომისიისათვის გადასაცემად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების **მდივანს**. (ოთახი № 21).

ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე—**დავ. ჩიქოვანი.**


ALL-RUSSIAN COOPERATIVE SOCIETY, LIMITED

**ARKOS**

Lvadsa E. C z Sowiet Nouse, 49, Mooraqate Constantinopol, Rne Voivoda, Kapakouy Nan.

**არკოსი** ერთად ერთი კონტრაგენტი რუსულ საგარეო ვაჭრობისა **ინგლისში და ოსმალეთში**

მიიღებს მთავრობისაგან დაწესებულებათაგან, კოოპერატივებისაგან, ტრესტებისაგან ყოველ მონდობილობას და კომისიებს საექსპორტო საქონლის რეალიზაციისა და სყიდვაში

**განყოფილება ლონდონში**, განყ. რომი, ბერლინი, ნიუ-იორკი, სტამბოლი.

**წარმომადგენლობა საქართველოში**

**ტფილისი**—მადათოვის ქ. № 11 ოთახი № 10 (დროებით)

**ბათუმი**—მარინის ქ. № 49 (დროებით)


## ორი სტიქია.

დღეს პოეზია ინტიმურია, როგორც ხუთი თითის თეატრი და იმავე დროს ხავსით მოზიზმორეული პათოსით.

ახალი ლიტერატურა უთუოდ დასწერს საშველიანოდ მარშს პოეზიის გარდაცვალებაზე და ეს იქნება რეკვიემი დაუზოგველი და მძაფრი, როგორც პათმოსის მოჩვენება.

დღეს პოეზია არ არის ლეგის ვენერა, რომელმაც უეცრად გაიელვა ზღვის ტალღებში, როდესაც ის სწერდა თავის უკვდავ სონეტს „მშვენიერებას". მარმარილოს ქანდაკება უტრიალო და გაუცინარი, პარნასელების იდეალია.

დღეს პოეზია არის ფლობერის მადამ ბოვარი-ცხოვრება, მეშჩანობით გაძარცული, რომლის უკანასკნელი ეპიტაფია თვით მკვლელობა.

დღეს პოეზია ბალზაკის ხანშესული, მაგრამ მაინც ბრწყინვალე დედაკაცია, დაშვენებული შემოდგომის სილამაზით. მაგრამ ახლაა დღე, როდესაც ეს დედაკაცი თმას ინით შეიღებავს, ოქროს კბილებს ჩაიდგამს და მხოლოდ ღამით აჩვენებს ხალხს თავის დამჭკნარს, მაგრამ კოსმეტიკის ჯადოქრობით აღდგენილ სახეს.

პოეზია ნილოსი და სფინქსია. ამ სფინქსის გამოცანაში ცქერამ გაიტაცა და დაღუპა არა ერთი პოეტი. დაღუპულთა პანთეონში უძილესი და პირველი ადგილი უჭირავს ბოდლერს. შემდეგ მოდიან მისი უმცროსი ძმობილ განწირული რაინდები: როლლინა, ლაფორგი, ლოტრეამონი, კორბიერი, რემბო ვერლენი. არიან ბედნიერი და დაწყევლილი პოეტები პოეზიაში ისე, როგორც ბუნებაში არის ორი სტიქია, ორი სამყარო: აპოლონიური და დიონისიური.

კოსმოსის ზედაპირი ნათელია და მშვენიერი. არიან პოეტები, როგორც პუშკინი, რუსთაველი, რომელნიც გვიჩვენებენ ამ ზედაპირს, გვაბრმავებენ სხივებით და სიხარულით ათრთოლებენ ჩვენს ცქერას. ეს არის პოეზიის აპოლონიური სახე.

მაგრამ კოსმოსს აქვს კიდევ მეორე ფარული და საშინელი სახე. კოსმოსის ჭეშმარიტი საფუძველი, მისი ნამდვილი დასაწყისი არის უსახური და მახინჯი ქაოსი, რომელიც იმალება მოჩვენებით ყოფნის სიღრმეში. ეს არის პოეზიის დიონისიური სახე.

აი როგორ ახასიათებს ვლადიმირ სოლოვიოვი ქაოსს: „ქაოსი, ესე იგი უარყოფითი უსაზღვროება, ლია უფსკრული ყოველი სიგიჟისა და სიმახინჯისა, დემონიური მისწრაფებანი, რომელნიც აჯანყდებიან წინააღმდეგ დადებითისა და მართებულისა—აი ღრმა არსება მსოფლიო სულის და საფუძველი მთელი ქვეყნიერებისა. კოსმიურ პროცესს მიჰყავს ეს ქაოტიური პროცესი საერთო წესწყობილების საზღვრებში, უქვემდებარებს მას გონიერ კანონებს, მასში თანდათან აწხორციელებს ყოფნის იდეალურ შინაარსს და აძლევს ამ ველურ ცხოვრებას აზრს და სილამაზეს. მაგრამ ქაოსი შეყვანილი მსოფლიოს წესწყობილების საზღვრებში, მაინც უჩენს თავისი ბრაზიანი მოძრაობით და ღელვით. ეს ქაოტიური და ირრაციონალური საწყისი ყოფნის სიღრმეში აძლევს ბუნების სხვა და სხვა მოვლენებს იმ თავისუფლებას და ძალას, ურომლისოთაც არ იქნებოდა თვით სიცოცხლე და სილამაზე. სიცოცხლე და სილამაზე ბუნებაში—ეს არის ბრძოლა და გამარჯვება სინათლის სიბნელეზე. მაგრამ ამის აუცილებელი პირობა არის ის, რომ სიბნელე ნამდვილი ძალაა. და სილამაზისთვის სრულიად არ არის საჭირო, რომ ბნელი ძალა განადგურებული იყოს მსოფლიო გარმონიის გამარჯვებით: საკმარისია, რომ ნათელმა დასაწყისმა დაიმორჩილოს ბნელი, რამოდენიმედ განხორციელდეს მასში, განსაზღვროს იგი, მაგრამ არ გააქროს მისი თავისუფლება და წინააღმდეგობა. მაგალითად უნაპირო ზღვა თავის ღელვებში მშვენიერია, როგორც ხატი დაუდგრომელი ყოფნისა, როგორც გიგანტური ლტოლვა სტიქიურ ძალების, რომელნიც შეყვანილნი არიან მაგარ საზღვრებში და ვერ დაარღვევენ სამყაროს საერთო კავშირს და მის წესწყობილებას, მხოლოდ ავსებენ სამყაროს თავისი ბრწყინვალებით, მოძრაობით და ხმაურით. ქაოსი, ესე იგი უსახურობა, სიმახინჯე არის ფონი ყოველი მიწიერი სილამაზისა და ესტეტიური მნიშვნელობა ასეთი მოვლენების, როგორც მრისხანე ზღვა და გრიგალი დამოკიდებულია იმისაგან, რომ ამ მოვლენებიდან გვიცქერის თვითონ ქაოსი. პოეტი ვერ დაივიწყებს, რომ ეს ნათელი დღიური სახე ბუნების არის მხოლოდ „ოქროს ნოხი," რომელიც ფარავს სამყაროს „უსახელო უფსკრულს."

არიან პოეტები ქაოსის და პოეტები მშვენიერი კოსმოსის. ქაოსის პოეტები (ფრანგი სიმბოლისტები, რუსებიდან გენიალური პოეტი ქაოსის ტიუტჩევი, სოლოგუბი, ანდრეი ბელი) გრძნობენ ძლიერად და შეგნებულად ბუნების და ადამიანის ყოფნის სიღრმეში საფუძველს, რომელსაც ემყარება [illegible] სამყარო პროცესისა, კაცობრიობის ისტორია და ადამიანის სულის ბედი. რასაკვირველია ქაოსის პოეტები უფრო ადრე იღუპებიან, რადგანაც ისინი, როგორც კომეტები თვითონ იკაფავენ გზას.

ხელოვნებაში, ისე, როგორც ბუნებაში სწარმოებს მარადი ბრძოლა ფორმისა და შინაარსის: ნამდვილ ხელოვნებაში ფორმა იმორჩილებს შინაარსს, შეჰყავს ის იდეალურ ნაპირებში. პოეზია რომ სუნთქავდეს მხოლოდ ნევრასტენიით, კოშმარით და ქაოსით, ის აუტანელი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ, მოქანცულნი ქაოსის ჰეროიკით—ისევ უბრუნდებით პუშკინს, რომ ის სხივებში გავათბოთ ჩვენი გაყინული სხეული. პუშკინში იყო ორივე სტიქია აპოლონიური და დიონისიური. ერთი და იმავე ხელით სწერდა ის ასეთ შედევრებს: „ქეიფი ეპიდემიის დროს" და „ევგენი ონეგინი." იგივე ითქმის შექსპირზე და ტიუტჩევზე. მაგრამ ამ ორ სტიქიიდან ერთი სჭარბობს პოეტში. ოლიმპიელმა გოეტემ არჩია აპოლონის პოზა. პოეტის დანიშნულება იმაშია, რომ შეადუღოს თავის პიროვნებაში ეს ორი სტიქია. დღევანდელი პოეზია არის პოეზია ქაოსის რადგანაც ქაოტიურია თვით საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს პოეზია არ არის ფუნდამენტალური, მისთვის ტიპიურია კანტის ნოუმენის ძიება. დიდი დრო გავა, სანამ დაიწმინდება მღვრიე ტალღები თანამედროვე ხელოვნების. დღეს მსოფლიო პოეზიაში ხდება ერთ გვარი გადატეხა: ლოზუნგი ასეთია: მეტი სიწმინდე ფორმის და მეტი კონკრეტობა შინაარსის. არა ერთხელ მოგვენატრება საბერძნეთის პოეზია, რომელიც უახლოვდება ქანდაკების მხიურ სითეთრით და სიმეტრიით გამართლებული თავისი ფორმით. თანამედროვე ქართული პოეზია ყანწყვეტილის ხაზით აცისკოვებს თავის შინაარსს და ფორმებს, ის მიდის ქაოსის წყვდიადში, მაგრამ ზურგი გამაგრებული აქვს რუსთაველით. ღამე უფრო ხნიერია, ვიდრე დღე, მაგრამ ჩვენი უკანასკნელი იდეალია ლეონარდო-გოეთია.

ვ. გაფრინდაშვილი

## თავზერა.

(ქართული არაკი)

თავზერამ მოიწყინა ნატვრა...

გაგონილი ჰქონდა: „შვიდ წელიწადში ერთხელ მდინარე შვიდ წყლით მოიძინებსო", და ამანაც მდინარის პირას დაიდო ბინა.

„რასაკვირველია, ფიქრობდა თავზერა, მდინარე ჩაიძინებს ღამითო" და ამისთვის შეუდგა ღამეების თევას... დღისით ეძინა და ღამით კი ელოდა...

— კაცო, ეჭვნეულო ცოლი, ე დღის საქმეს ვერ აკეთებ... დაანებე თავი ღამის თევას და ლოგ იმუშავე... თორემ ბავშვები შიმშილით დაგვეხოცებიან...

— ეჰ... დედაკაცო, რა გესმის... რომ ვინატრებ, მაშინ რაღას იტყვი?!

— ნატვრამდის შენ არა გვჭამს.. აბა რას ინატრებ?!

— ჰმ.. ჩაიცინა თავზერამ ცოლის წუხილზედ... შენ რა იცი რას ვინატრებ?!.

— რო არ ვიცი, იმიტომ გეკითხები?..

— როცა ვინატრებ, ვერ გაიგებ?!

— მეშვიდე წელიწადია ე მაგ ლოდში ხარ... რით ვერ მოიფიქრე აქამომდის, თუ რა გინდა?!.. თუ მარტო, ელოდე ე მდინარის ძილს, წინათვე მაინც გქონდეს დამზადებული, თორემ შვიდ წყალი ძალიან ჩქარა გაიღვიძებს...

— ქალიკო დამანებე თავი... ვერა ხედავ, თვალები მეხუჭებათ?!. უპასუხა და ჭილოფზე გადაწვა...

რამდენჯერ ვედრო თავზერას ცოლს ღამეობით თევზი მაინც ეჭირა, მაგრამ თავზერას პირიქცევი ვერ გადააწყვეტინა...

იმის ცოლშვილი კი გაუწყდა... ქოხი გვერდზე გადაიხარა, წაქცევამდის მიიდგა...

როცა გამოიძინებდა, სჭამდა პურს. მარტოალ-მარტოალდებოდა, კუნჭაში ჩაიკეცებოდა და... კიდევაც დაიძინებდა... დრო იყო კიდევაც ღამის თევისა... და ისიც მიდიოდა სათევლად...

თავზერას ამ ხნის განმავლობაში მეზობლებთანაც კი ღამის სათევლად მიმავალს როცა შეჰხვდებოდა შეურაცხყოფით მიესალმებოდა სალამზედ და ამბებს უქმდებოდა...

ჩუ?!. აგერ მოისმის მდინარის მარადისი მღერა... რა მოუვიდა?!. მდინარემ ხომ არ მიიძინა?!.

სამაგიეროდ მიძინებულ არე მარეს სწრაფად გამოეღვიძა, და ატყდა ხმაურობა!..

თავზერამ სიხარულით თავი დაიკარგა, სიხარულით შეხტა და შემოტრიალდა... ყურმაღლაც გადავიდა...

ანკი როგორ არ უნდა გამხიარულებულიყო თავზერას?!. ცოლშვილის საყვედურიდგან და მეზობლების დაცინვისგან გამოდიოდა... მდინარის ძილი არ გამოეპარა...

მაგრამ ეს რა ხმაურობაა?!. ხე, ქვა, სულდგმული და არა სულდგმული ყველა რაღაცას გაიძახის... თავზერას ამ ხმაურობამ ყური წაიღო... „დაიცა, უთუოდ ნატრობენ!.. ნეტა, რას ნატრობენ?!. თავისთვის წაილუღლუღა და მახვილად ყური დაუგდო... თითქმის ყველა ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „შეგვეწიე ჩვენი მშობელის ძეძუ და ჩვენ შვილებსაც შეეწიეო"...

„მმ!.. „ჩაიცინა თავზერამ": რა მუდლუღლათები არიან?!. აი ეს არა მჭირნია ნატვრის შმ... ჩემი ცოლი კი მე მეუბნებოდა ბოლოს... ეს რო ჩემ ცოლს გაეგონა, მაშინ შეჰყვებოდა თავის ამბავს.. აბა, ახლა შენი ჯერია.. მაგრამ ასეთი ქვეყნის გასაკვირვი ვინატრო!." დაფიქრდა თავზერამ ფიქრი, თუ ქვეყნის გასაკვირვი რა იქნებოდა... ასე სწრაფად იდეალი კი არ არის მოიფიქროს კაცმა... თავზერაც ხომ კაცია! „მარილი... არა... მოწ..." ფიქრობს თავზერა და ამას ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიძახის...

„მოწ... მარილი!.." ჩაილაპარაკა უკანასკნელად თავზერამ ეს სიტყვები... ფრ-

# რუსთაველიანა

**პავლე ინგოროყვას მოხსენება: „კერძოდ ქართული კილოს გავლენა რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანზე.“**

# ინტერვიუ რეჟისორ მჭედლიშვილთან

# აისედორა დუნკან.

# ბიბლიოგრაფია

**ხომალდი. № 3. მარტი 1922 წ.**

# ლიტერატურული ქრონიკა

Bibliographia Georgica

**საჯუბარ-ბაზიდ**

[illegible]

ა.

**ნიკოლო მიწიშვილი „წმინდანიანი" წიგნი ლექსების.**

თბილისი. 1922 წ.

[illegible]

# „ურბანისტული" ვოდევილი

[illegible]

# ჩემს შემდეგ.

მე დავრჩი მარტო ჯვარედინ გზაზე...
და მოველოდი ჩემზე მძლეს ფერიოს;
ის არ მოსულა... მოვა ჩემს ნაზზე...
მინდა შევესწრო და ლხინს ვუხეთქო!

ჩემს შემდეგ მოვა ქრელის მიდამოში
საკაცობრიო ამოსავსებად;
ჩემზე მეტ შეამკობს სიბრძნის სამოსი,
მშვენიერს გარდაქმნის თავის მეგავსებად.

მაგრამ ის მაინც უმადოებელი
ჩვენის სოფელს მდუმარე განცდით;
თუმცა ია-ვარდით გზა მოფენილი,
არ დაბრუნდება, ვერსად ვერ ძლევით.

დაიძახებს: „ალაბედნით!"
ჩამოქროლებენ სულის ქარები,
მოწყვეტილება ჩაუქრებათ
ნისლებში შენელ მთავრებს.
იგი ერთი, მაღლა მდგომი
არავის არ მიეკარება,
სხვა რაღა უნდა? მასთან არის,
რაც კაშკაშებს, მოელვარებს!

ჩემს შემდეგ მოვა მაგის ფიქრებით,
ტანჯვის ღვთიური ყლუპები მხარში,
მის სულს ჩამრჩელავა და გაჰფანტრდებით!
ჩემს შემდეგ მოვა სიცი ბატონი,
თავის მეტარიელსაც მოუტრუბს რაში.
დიდ სასახლეში შეულენ მარტონი.

კედელზე შენავს ჩემს ობოლ ჩანგურს
სისხლ დაწყვეტილს, მტვერმოკიდებულს;
ის მაღლგამოვა იცნობს იქ წარსულს
და ცრემლს დაფრქვევს გულზე მიდებულს.

სხვის მის პირდაპირ ჩემი ტაძარი,
იქ მოვა... პირველის შენ მოყაბარებს,
მას შეხვდის მოეგებას, ვინც მე აღვმართე
ლოცვას სევდიანს შემოძახარებს.

მე იმ ლოცვაში მოძალანდება
თავდაჯერწმება, ჩემი შურისძიება;
აჰ, მას კი რარიგ დაუღამდება...
არც ცრემლი ექნის და არც ქურები!

ჩემს შემდეგ მოვა, იყავით ფხიზლად!
ძველი კარებში არ აღაღებოს.
მაშინ იჭნიებით თქვენ ყველა სიზმრად...
ქრისტეს მონებთ თავგანს სიკვდილი ნინოს!

სანდრო შანშიაშვილი

# წმიდა ზიარება

თავდავიწყება მოკლავს კაეშანს,
ჩემი ვენახო, ვით მივიღებინო.
განსვენებილობის სურვილი მიმყრობს
ო, დიდო თამარ, ქეთევან, ნინო!
თუ საქართველოს არა ჰყავს გმირი,
რომ ჩემი მუზა დავაგვირგვინო;
არკადიაში არ არის ღმერთი,
რომ ყვავილები ავაბიბინო?!

აჰ, შავს ღამეში თეთრი ტაიჭით
დაჰქროლავს სული საქართველოსი
და ჩემი მუზა წამების განცდით
ეტყვის: შენა ხარ ჩემი ეროსი;
შენა ხარ მეფე, შენა ხარ ღმერთი,
აჰ, არკადიის ტურფა მდელოსი,
შენა ხარ სუნთქვა ჩემი სულისა
და წამებული საქართველოსი.

რუსთაველს უყვარს თამარის სული,
ბეატრიჩესი— დანტეს წამებულს,
მე კი დავსტირი სულო შენს გვირგვინს,
სხვის მუზეუმში ნიშნად წაღებულს.
და ჩემი გული, ცრემლად ნადუღი
ივერიაში წყაროდ ჩამოდის
და ჩემი მუზა კითხულობს, ამოდ:
—სულო, შენ ტახტზე იმეფებ, როდის!

რად მეჩვენები განდევნილივით,
სულო, შავს ღამეს თეთრი ტაიჭით?
ჰო, ბლაჯში დავდევს და ჯარს ეძახის,
—არკადიის მეფე იყავი, დაიჭით!..
მაშ ჩემი მუზა გეფიცებოდეს:
ბლაჯს დაემარცხებ ივერიის ქალი,
რომ დაუბრუნდე შენ შენს ღირსებას
და მეფე იქნე თავისუფალი.

ტახტზე ასული თუ გნახე სული,
შენი ამბორით მე მომინდება,—
ვეზიარები დიდ საიდუმლოს
და ჩემი მუზა დავგვირგვინდება.

[ზაზილინა]

# სამძიმარი თავადს

ძვირფასო თავადო, ავზიანო როდამ,
მიგირჩევია კვლავ სავინიბო შენი
ლექს მიძინილი ლურჯა... წაჭკნული ოდა
სირილის ფოთლები, ვენება ბაშენი...
წინაპრის ჭიშკარი. ნისლიანი ფიდა
ვეებერთვენის თოფქათი სოფლის მონახონი...
შენი ბოსტნის კუნძული ეჩინით გაზრდილა
უკან მოსასხი ლუდი და ვენების ზოლი.

შენი ყურიკლის ბერი ძალივ წითლია
ალერ გვაიხარ რაიც საქართველოს თავადს
დაგრჩა იქ ზანდუკი და ბეღელი ლია
ეს დღე ფუნდიური მიდის თავის-თავად.
ინტეგის ძველი მეფე, ალარა გვაქვს იგი
რომ მარადისებრივით დიდი ჭაშნის ურისთავი
ლეჩინეზის ქალი, თავაზი ფეჭვის
მოვარავდს რომა.. ჭილებ მოსართავით.

მოშორდები შარს და საყვარელ ლეკვთს
ცრემლით ავსებენ შენ თვალი მოხუცი
იცვლიდ ჭანდრის რტოებში დაკარგულ სიკვდილს
რომ წინაპრის ქვასთან მამის ლანდებს უცდი.

ვიქტორ გაბესკირია.

# ელეგია

ცა შეეიწროვდა და მწუხრის თვალი
მიცქერის შორით ბოროტად მტრულად.
გული, ტანჯვათა დღენი დათვალე
და მიეჩვიე მძიმე ღამეს სრულად.

არ ვიცი კიდევ თუ ვინ მახსენებს
რომელ ფერადებს მოველანდები,
სული ემობა ცივრ ნაზ სენებს
და მწუხრის კარზე მივალ ანთებით.

სულ მავიწყდება რაღაც სიტყვები...
გზა, ტყის ნაპირად... გამომშვიდება...
თვალო რას ელი? თვალო, რით სტკბები?
შენთვის ცრუ არის ქვეყნის ლიდება!..

ბევრჯერ მოსტყუედა სინამდვილეში
ყვითლად დაგაჩნდა შენსა ხალები
და ვით ციება ორჯერ კვირაში
შენ გაწვალებდა ცოდვის ალები.

გაქრა სიზმარი და მოლანდება
მხოლოდ ტანჯვათა დიგაჩნდა კვალი
და ხსნა იქნება, რომ დაიმდება
და შორს წავიღებს სხვა მომავალი!

[ოთილ ელიავანი.]

# წიგნის გამომცემლობა „საუნჯე."

ტფილისში დაარსდა, მთავრობის მიერ ნებადართული, კერძო გამომცემლობა „საუნჯე", რომელიც მიზნად ისახავს სურიგზიდ გამოსცეს კამხეული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები: მოთხრობები, რომანები, პიესები სალიტერატურო საკვლევ ძიებლები, და სხვა.

პირველ ხანებში ამხანაგობას განზრახული აქვს გამოსცეს ნაწარმოებნი: გალიკ მარინოვისა, შიო არაგვისპირელისა, ალ. შანშიაშვილის, ტრ. რამიშვილის, ბაზილინისი და სხვა წიგნები გამოიცემა წინასწარი ხელის მოწერით, რადგანაც წიგნის გამოცემა ძვირად ჯდება და საჭიროა გათვალისწინებული იყოს რაოდენობა წიგნის მოთხოვნილებისა. ამხანაგობას დამხმარე თანამშრომლები ეყოლება როგორც ტფილისში ისე საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში.

პირველ წიგნად გამოიცემა: **ვან ზარნოვის** ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, II, III და სხვა.

რომანები: „ტრფობა წამებული", „სვიმონ ხელი" და სხ. შ. არაგვისპირელის „განზარული გული (მეორე ვარიანტი), და მისივე ნაწერების მე-ბ ტომი ტრ. რამიშვილის ახალი პიესა და სხვა.

წიგნების ფასი ხელმისაწვდომი იქნება.

დღევანდელ პირობებში, როდესაც, ბაზარი გავსებულია აოასვარ ბროშურებით, ცნობილ და უცნობ პოეტების ლექსებით, რუსულ და უცხო ენებზე გამოცემულ წიგნებით, ქართველი მკითხველი მთლად გარიყული რჩება და ვულარ აკმაყოფილებს თავის სულიერ მოთხოვნილებას.

ამისათვის ჩვენ საიმოვნებით ვეგებებით ამ გამომცემლობის დაარსებას.

რედაქტორი: გიორგი ლეონიძე.

# რომანი და სინემა

ესპანელმა რომანისტმა ბლასკო იბანიესმა დაბეჭდა „ქალთა სამოთხე“. მეტად სატირიული და ფანტასტიური რომანი: ამერიკელი ინჟინერი, გილემსი, ზღვაზე მომხდარ კატასტროფის შემდეგ მოხვდება ლილიპუტების ქვეყანაში, რომელიც როდისღაც სვიფტმა აღწერა. ორას წელიწადში ლილიპუტებში მომხდარა დიდი სოციალური ცვლილებანი. ქალებს მოუხდენიათ რევოლუცია, ჩაუგდიათ ხელთ მთავრობა და მამაკაცების ქვეშევრდომობით განაგებენ სამეფოს.

რომანი თავდება მამაკაცების „კონტრ რევოლუციით“ მაგრამ მერე უცნაურად ირკვევა, რომ გემზე არავითარი კატასტროფა არა ყოფილა: არც ლილიპუტების ქვეყანა, არც „კონტრ-რევოლუცია“,—ახალგაზრდა ინჟინერს მხოლოდ გემზე წყნარად ეძინა.

ბლასკო იბანიესი ამბობს: ამ ფანტასტიური მოთხრობის აზრი დამებადა ჯერ კიდევ ბავშობაში. „გულივერის მოგზაურობის“ წაკითხვის მერე არა ერთხელ მიფიქრია: რანაირად მიდიოდა ლილიპუტების ცხოვრება, როცა იქიდან სვიფტი დაბრუნდა? ახლა მე გადავწყვიტე ამეწერა თანამედროვე ცხოვრება ლილიპუტების.

მუშაობის სიახლით ატაცებული, მე შევუდექი წერას გაშმაგებით. არასოდეს არ მიმუშავია ასეთი სიჩქარით. მე სრულიად გადავივიწყე, რომ ვწერდი მხოლოდ სინემას „სცენარიუმს“ ამ რიგად ოცდა ერთ საღამოს განმავლობაში მე დავასრულე რომანი „ქალთა სამოთხე“. ასეთი გარემოების მერე ძალიან მიკვირს, როცა ჩემს რომანში ეძებენ ფილოსოფიურ პოლიტიკურ ტენდენციას“.

ავტორი მტკიცედ იცავს არა მარტო უფლებას, იგი უსაჭიროესად სთვლის ახალი და სრულიად ფანტასტიური თემების ძებნას. ჩემი თხზულების მერე, იქნება „ქალთა სამოთხე“ ბევრმა შეცდომად ჩასთვალოს. მაგრამ მე მირჩევნია, ვცდებოდე და ახალი გზებით მივდიოდე, ვიდრე ვიმარჯვებდე, მაგრამ ჩემს თავს ვიმეორებდე.

მაგრამ მე მაინც მგონია,—განაგრძობს ბლასკო იბანიესი, რომ ჩემი რომანი უფრო საინტერესოა, ვიდრე ის რომანები რომელთა ავტორებსაც უნდათ 300 გვერდი რომ მოამზადონ ორი სქესის შეხვედრა ჩაკეტილ ოთახში.

თანამედროვე რომანი მარტო პუნქტია, მომხდარი ეპიზოდის. ამბავი აწერილია ფრთხილად, რომ სასამართლოს ოქმს არ წააგავს. ავტორი ცხარედ იცავს „სინემას“ და უწოდებს „მეშვიდე ხელოვნებას“, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი მოელის დღეს სინემას ბევრი მტერი ჰყავს, განსაკუთრებით მწერლობაში.

ეგრედ წოდებული მწერალთა რესპუბლიკა, წარმოადგენს კონსერვატიულ სახელმწიფოს, და დასახლებულია ინსტიქტიურად მოძულე ხალხით, რომელიც წინ ედგება ყოველივე ახალს თითქოს არისტოკრატიული სარკაზმით.

როცა წიგნის ბეჭდვა გამოიგონეს, მაშინდელი მწერლობა ნაბეჭდ წიგნს მტრულად შეხვდა. ჰქონდათ წიგნი მოოქროვილი ასოებით, ყვავილნაირი არშიებით, სათუთად გადაწერილი, მის ალაგს იჭერდა ვულგარული და ერთი ფერი წიგნი. მაგრამ ათეული წლების მერე დარწმუნდნენ, რომ დაბეჭდილი წიგნი თუმცა ნაკლებ ლამაზია, ვიდრე ძველი მანუსკრიპტები მაგრამ უფრო ხელს უწყობს ახალ იდეების გავრცელებას და კაცობრიობის ინტელექტუალობის სრულყოფას.

შესაძლება ასი წლის შემდეგ, უკვირდეთ, როცა გაიგებენ რომ მწერლები, სინემატოგრაფის გამომგონების თანამედროვენი, ზიზღით შეხვდნენ, მას და ჩასთვალეს ბავშურ გასართობ იარაღად. და „სინემას“ დასაცავად ბლასკო იბანიეს მოჰყავს შემდეგი არგუმენტი.

რომანი დღეს, ყველგან უდიდეს კრიზისს განიცდის. მეცხრამეტე საუკუნე იყო საუკუნე მუსიკისა და რომანის. უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში იმდენი რომანი იწერებოდა, მათი შინაარსი იმდენად სხვადასხვა იყო, რომ ავტორები და მკითხველები ეხლა გაოცებაში არიან. ეხლა რომანისტს ვეღარ შეუძლიან მონახოს ხელუხლებელი ნიადაგი. რომელ დარგისკენაც არ გასწიოს რომანისტმა, ასი ნაბიჯის შემდეგ ის მიაწყდება სხვა მწერალთა კვალს, რომელნიც აქ ყოფილან.

ყველა თემები და პრინციპები თანამედროვე რომანის დაყენებულია გამოყენებულია ყველა სიტუაციები, შესწავლილია ყველა ხასიათი, აწერილია ყველა „ტიპები“, ამიტომ „ორიგინალური“ რომანი იშვიათობად იქცა ამოიწურა ყველა კომბინაციები, სიტუაციები, ტიპები და რომანისტები წელზე ფეხს იდგამენ იმით საკუთრებით დაფარონ გამოყენებული სტილის, სიუჟეტის [illegible] სილარიბე. რომანისტებთან ერთად საზოგადოებაც დაიღალა და რომანი საფრთხეში დღეს, რომელსაც აქვს დიდი პრეტენზიები ორიგინალობის, რაიმე ახალს არ წარმოადგენს. დღეს ყველგან დიდი კრიზისია და საკითხი ჯერ გადაუწყვეტელი.

„მე არ მინდა დავამტკიცო, რომ კინემატოგრაფი ერთადერთი რადიკალური გადაწყვეტაა საკითხის—ამბობს იბანიესი. ამასთან მზადა ვარ ვაღიარო უყოყმანოდ, რომ „დაბეჭდილი“ ამბავი ყოველთვის მაღლა იდგება რომანზე რადგან თუ რომანშია მოქმედება, აქ არის „სტილი“. მე მინდა მხოლ ვსთქვა შემდეგ. თუ რომანისტები ხელს შეუწყობენ უშუალო „მეშვიდე ხელოვნებას“ რომლის მონოპოლიას დღეს აძლევენ, სრულიად არა კომპეტენტური ხალხი ლიტერატურაში, მათი მეცადინობა, გამოიწვევს რომანის აღორძინებასა და მისი საზღვრების გაფართოებას. რომანი მაშინ გადადგამს მეორე ახალგაზრდობაში.


# ს. ს. ს. რ. თამბაქოს ტრესტი

უ. ს. ს. მ.

## დაფუძნებითი კაპიტალი 6.000.000 მ. ოქროთი
## თვიური ტრიალი 40.000.000.000 მან.

ტრესტის მმართველობა ქალ. თბილისი შტაბის, 2 ტელეფონი 12—29.

2. კონტორები და განყოფილებანი: ბაქო, ბათუმი, ქუთაისი, ალექსანდროპოლი, აშხაბადი, ტაშკენტი, თეირანი, თავრიზი და ყაზვინი.

**იძლევა თავის თამბაქოს ნაწარმოებს.**

ტრესტში ვაჭრობა განსაკუთრებით ბითუმადაა.


## დამატებითი საგარაკო მატარებლები

22 ივლისიდან **თბილისის, ბორჯომის და ბაკურიანის** შორის დანიშნულია სწრაფი საგარაკო მატარებლები № 18 და 17, **კვირაში ერთხელ.**

თბილისიდან გადის შაბათობით დღის 11 საათ. 45 წუთზე, **გორიდან**—2 საათ. 20 წუთზე, **ხაშურიდან**—3 საათზე და 55 წუთზე, **ბორჯომში** მიდის 5 საათ. 30 წუთზე დღის.

**ბორჯომიდან ბაკურიანში** გადის წვრილი ლიანდაგიანი გზით 5 საათზე და 50 წუთზე, **ბაკურიანში** მიდის საღამოს 9 საათზე და 18 წუთ. შაბათობით.

### უკან ბრუნდება

**ბაკურიანიდან**—კვირაობით საღამოს 4 საათზე და 40 წუთზე **ბორჯომში** მიდის 7 საათზე და 46 წუთ. **ბორჯომის პარკში**—საღამოს 8 საათზე.

**ბორჯომიდან თბილისში** გამოდის საღამოს 9 საათზე და 50 წუთზე, **ხაშურიდან**—ღამის 12 საათზე და 35 წუთზე, **გორიდან**—2 საათზე და 41 წუთზე, **თბილისში** მოდის დილის 6 საათზე და 02 წუთზე.

ეს მატარებელი პატარა პლატფორმაზე არ შეჩერდება.

1922 წელს, 7 აგვისტოს, დღის 12 საათზე **მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეოთა და საიჯარო-ნაკვეთების** განყოფილებაში (სასამართლოს ქუჩა № 32) დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა თევზის დაჭერის** უფლებაზე **პალეოსტომის ტბაში** (სენაკის მაზრაში) **და იმ მდინარეებში რომელიც ჩადის და გამოდის ამ ტბიდან, ვადით 1922 წლის 14 აგვისტოდან 1923 წლის 14 ივნისამდე**: ქვირითის დაყრის დროს, ესე იგი 14 ივნისიდან 14 აგვისტომდის, როცა თევზის დაჭერა სახელმწიფოს აყენებს დიდ ზარალს, აკრძალულ ხანათ ითვლება. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 730 მილიონ მანეთიდან, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს სატყეოთა და საიჯარო ნაკვეთების განყოფილებაში **შემოაქვს განცხადება და არდგენს 185.000.000 მან. ბეს.**

ვინც საჯარო ვაჭრობაში მისცემს უმაღლეს ფასს და საჯარო ვაჭრობა დამტკიცებულ იქნება მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ მასთან იკვრება წერილობითი ხელშეკრულება, საიჯარო გადასახადი-კი უნდა იქნეს შემოტანილი ორ ნაწილათ: პირველი ნახევარი 1922 წლის 1-ლ ოქტომბრამდის, მეორე ნახევარი 1923 წლის 1-ლ აპრილამდის.

საჯარო ვაჭრობის დღეს ვიზედაც დარჩება თევზის დაჭერის უფლება ვალდებულია შეავსოს ბე არა ნაკლებ იმ ფასის მეოთხედი ნაწილისა, რა ფასში დარჩა მას თევზის დაჭერის უფლება საჯარო ვაჭრობაში. შევსებული ბე რჩება ხაზინაში მიწათმოქმედების კომისარიატის დეპოზიტზე საიჯარო ვადის გათავებამდის.

დანარჩენ პირებს, ვიზედაც საჯარო ვაჭრობით თევზის დაჭერის უფლება არ დარჩება მათ ბე უბრუნდებათ იმ დღესვე.

## პირდაპირი მატარებელი
## პეტროგრადი—ბათომი

16 ივლისიდან ყოველკვირა **პეტროგრადიდან ბათომამდე** ივლის პირდაპირი მატარებლები **№ 6-3. 3** ვაგ. ნიკოლაევის გზის შემადგ. მათგან 1 საბარგო, 1 რბილი, 1 მესამე კლასი პეტროგრად-ბაქო და 1 მესამე კლასი პეტროგრად-როსტოვი. აქედან პეტროგრად-ბათომის უბრალო სამი ვაგონიდან ერთი ვაგონი ეძლევა მგზავრებისათვის მხოლოდ პეტროგრად-ხარკოვს შუა და ცალკე ხარკოვ-ბათომით და ეს ვაგონი ივლის ხარკოვში მოუხსნელად და ექნება ტრაფარეტი პეტროგრად-ხარკოვ-ბათომი და ამავე მიმართულების სამი ვაგონიდან ერთი ეძლევათ მგზავრებს მხოლოდ **პეტროგრადიდან როსტოვამდე**, ცალკე **როსტოვს და ბათომს** შუა როსტოვში მოუხსნელად, სადაც ექნებათ ცვალებადი ტრაფარეტი **პეტროგრადი-როსტოვი** და **როსტოვი-ბათომი** და სხვა ვაგონების რიცხვიდან კი ნახევარი ადგილები მიეცემათ მოსკოვში, მოსკოვიდან მიმავალ მგზავრებს. ეს მატარებლები პეტროგრადიდან დაიძვრიან კვირაობით, მოსკოვიდან—ორშაბათობით, **პეტროვსკში მოვლენ** და აქედან გამოვლენ ხუთშაბათობით, **ბაქოში მოვლენ** და დაიძვრიან (არსებულ წესის თანახმად) პარასკეობით, **თბილისში მოვლენ** დილით 11 საათ. და 45 წ. და აქედან გავლიან (დღის 2 საათზე) შაბათობით და **ბათომში ჩავლენ კვირაობით** დილის 9 საათ. და 40 წ.

**მატარ. № 6-3. ბათომიდან დაბრუნდება** ოთხშაბათობით 7 საათ. 25 წ. საღამ. **ტფილისში მოვა** (1 საათ. და 30 წ. დილით) და აქედან გავა 2 საათ. 45 წ. ხუთშაბათობით, ბაქოში ჩავა დღის 3 საათზე და გავა (დღის 5 საათ.), პარასკეობით, მოსკოვიდან—სამშაბათობით და ჩავა **პეტროგრადში ოთხშაბათობით.**

პირველი მატარებელი გამოვა პეტროგრადიდან 16-ს, თბილისში გაივლის 22-ს, ბათომში მივა 23-ს, ბათომიდან გამოვა 26 ივლისს და პეტროგრადში ჩავა 2 აგვისტოს. არსებული მოსკოვის მატარებლები №№ 5 და 6 რჩებიან მოძრაობაში იმავე დღეებში პლაცკარტის ფასი მოსკოვის და პეტროგრადის მატარებლებზე რჩება იგივე, ე. ი. 1-ლ 3 კლ. ვაგონებში 300.000, რბილი 6000.000, მე-2 600 ვერსტამდე—3 კლ. ვაგონებში 520.000, რბილ 9000.000 მე-3 900 ვერსტამდე და მეტზე 3 კლ.—640.000 მ. და რბილ 1.200.000.


# მთავარ ტყავკავშირი
# ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

თბილისი ვორონცოვის ქ. № 82. ტელეფონი 3—06.

ტყავკავშირის უწყებაში

## ტყავეულობის ქარხნები
## ქუდების ფაბრიკები
## ფეხსაცმელების ქარხნები

სასარაჯო საუნაგირო და ტანისაცმელის სახელოსნოები

მიიღება შეკვეთა ტყავეულ და ქუდების ნაწარმოების როგორც არმიისა, ისე საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა საჭიროებისათვის.

განყოფილების მაღაზიებში (სომხური ბაზარი, №№ 6 და 62).

იძლევა ყველას ბითუმად და ცალობით ყოველნაირი ფაბრიკატები თავის წარმოების.


თანახმად დეკრეტის № 8 მატყლის მონოპოლიის შესახებ

## სახალხო სასურსათო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ყველა ის კერძო პირი და დაწესებულება, რომელსაც აქვს მატყლი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში,

# მოვალეა გამოაცხადოს

ერთის კვირის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა

## მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსში“

(ნიკოლოზის ქ. № 22) როგორც მატყლის რაოდენობა ისე მისი ღირსება.

**წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სასამართლო'ში და მატყლი ჩამოერთმევათ კონფისკაციის წესით.**

**სახალხო სასურსათო კომისარიატი.**


## სახალხო ბანკის გამგეობა

იუწყება, რომ საქონლის იმპორტ-ექსპორტების მუშაობის გასაადვილებლად

### გახსნილია ანგარიში ოტტომანის ბანკში კონსტანტინოპოლში

და მიიღებს თავისთავზე

გადაგზავნას და სხვა საკომისიო მინდობილობებს კონსტანტინოპოლზე

**გამგეობა.**


ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის

# სახალხო კომისარიატი

იღებს რა მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე (1 აგვისტოდან—15 სექტემბრამდე), აცნობებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო კომერსანტებს, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ იარმუკაზე თავისი საქონლით, რომ იგი კისრულობს ამ საქონლის გადაგზავნას შეღავათიან, საკომისიო პირობებში თავისი შარშრუტებით.

ცნობებისათვის მსურველთ უნდა მიმართონ ყოველ დღე (უქმეების გარდა) დღის 12—3 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე ზაკვნეშტორგის ნიჟეგოროდის იარმუკაზე მონაწილეობისათვის არსებულ დროებით ბიუროში (ბარიატინსკის ქ. № 6, ზაკვნეშტორგის სავაჭრო განყოფილების ბინა) ბიუროს თავმჯდომარეს ტ. ს. მელიქოვს ან მის მოადგილეს ნ. ლ. კოვალევსკის. ქალაქ გარეშე საპირველ მიმართონ ზაკვნეშტორგის სათანადო განყოფილებას ადგილობრივ.

**ა. კ. ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.**